Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

აგვისტო 2021

- საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 2021 წლის აგვისტოში 538.3%-ით გაიზარდა, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 77.3%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 510.5%-ით გაიზარდა (2021/2020) და 75.5%-ით შემცირდა (2021/2019), ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 615.2%-ით გაიზარდა (2021/2020) და 67.2%-ით შემცირდა (2021/2019).
- საქართველოს ტურიზმის სექტორი საკმაოდ კონცენტრირებულია. კერძოდ, 2019 წელს, საერთაშორისო მოგზაურების 71.4% საქართველოს 4 მეზობელ ქვეყანაზე მოდიოდა (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და თურქეთი). მაგრამ, 2021 წლის აგვისტოში, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 40.8% შეადგინა, რაც ძირითადად უკრაინიდან, საუდის არაბეთიდან, ბელარუსიდან და ყაზახეთიდან ვიზიტორების ზრდამ გამოიწვია.
- პანდემიის შემდგომ საქართველოს ეკონომიკური აღდგენისთვის ნაყოფიერი იქნება მაღალი პოტენციალის მქონე ახალი ტურისტული ბაზრების ათვისება. კერძოდ კი, გამოიკვეთა ჩინეთისა და ყაზახეთის სამიზნე ბაზრები, ვინაიდან, ჩინეთიდან და ყაზახეთიდან 2015-2019 წლებში ვიზიტორების რაოდენობა საშუალოდ შესაბამისად 54%-ითა და 36%-ით იზრდებოდა.

პერსპექტიული სამიზნე ბაზრები საქართველოს ტურიზმისთვის

2019 წელს, პანდემიის დაწყებამდე, WTTC-ის მიხედვით, ტურიზმი[I] საქართველოს მშპ-ს[II] 26.8% შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველოს ტურიზმის სექტორი საკმაოდ კონცენტრირებული იყო ვინაიდან მთლიანი ვიზიტორების 71.4% მეზობელ ქვეყნებზე მოდიოდა: აზერბაიჯანი (19.8%), რუსეთი (19.0%), სომხეთი (17.7%), თურქეთი (15.0%). მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ ძალიან დააზარალა ტურიზმის სექტორი, აღნიშნული კრიზისი და ტურისტების ქცევის ცვლილებები ქმნის შესაძლებლობას ტურიზმის პოლიტიკის რეკონსტრუქციისთვისა და ინდუსტრიის დივერსიფიკაციისთვის. ვიზიტორები გალფის ქვეყნებიდან, აშშ-დან და ევროკავშირის ზოგი ქვეყნიდან ვიზიტის დროს საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით მეტს ხარჯავენ და მარკეტინგული კამპანიებიც მიმართულია აღნიშნული ქვეყნებისკენ. თუმცა, გარდა ამ ქვეყნებისა, ჩინეთი და ყაზახეთი გამოირჩევიან საქართველოს ტურიზმის სექტორის გაფართოების მაღალი პოტენციალით, მაგრამ მათ ამ ეტაპზე შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობათ.

2019 წელს[III], ჩინელი ვიზიტორის საშუალო ხარჯი 1,908 ლარს შეადგენდა, რაც ხუთჯერ მაღალია საქართველოს უმსხვილესი ტურისტული ბაზრის აზერბაიჯანის (396) მაჩვენებელზე და ასევე მეტია სხვა ტრადიციული ტურისტული ბაზრების[IV] მაჩვენებლებზეც. ამას გარდა, საშუალო ვიზიტის ხანგრძლივობა 2019 წელს 7.7 ღამეს შეადგენდა, რაც აღემატება საქართველოს ტრადიციული ტურისტული ბაზრების მაჩვენებლებს. ყაზახი ვიზიტორებისთვის 2019 წელს ერთ ვიზიტზე საშუალო ხარჯი 1818 ლარს შეადგენდა, ხოლო ვიზიტის ხანგრძლივობა 7.4 ღამეს.

წინა წლების განმავლობაში, საქართველოში ყაზახი ვიზიტორების რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა. 2018 წლიდან 2019 წლამდე ვიზიტორების რაოდენობამ 75.7%-იანი ნახტომი განიცადა და 2019 წელს 10,611-ს მიაღწია. ამას გარდა, ყაზახეთსა და საქართველოს შორის არსებობს ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი, ვინაიდან ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად ავიაკომპანია FlyArystan[V]-მა ყაზახეთის სამი ქალაქიდან პირდაპირი დაბალბიუჯეტიანი რეგულარული ფრენების განხორციელება დაიწყო, შემსუბუქდა საქართველოს საზღვრის კვეთის რეგულაციები და ორ ქვეყანას შორის გაუმჯობესდა ეკონომიკური კოოპერაცია.





წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2019 წელს, ჩინეთიდან ვიზიტორების რაოდენობა 2018 წელთან შედარებით 50.9%-ით გაიზარდა და 48,071 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ჩინელი ტურისტების უმრავლესობა დაბალ ან საშუალოშემოსავლიან ჯგუფებს მიეკუთვნება და შესაბამისად მათთვის ისეთი ბიუჯეტური ტურისტული დანიშნულების ადგილებია[VI] მიმზიდველი, როგორიცაა საქართველო. საქართველოს ეკომონიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩინეთის მოწინავე ტურისტულ სააგენტოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და China Southern Airlines-ის მიერ დანიშნული რეგულარული ფრენები საქართველოს მიმართულებით აღნიშნული სამიზნე ბაზრის მეშვეობით საქართველოს ტურიზმის პოსტ-პანდემიური განვითარებისათვის დამაიმედებელია[VII]. იმის გათვალისწინებით რომ, ჩინეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და იქიდან გამომდინარე რომ, საქართველო ჩინური „სარტყელი და გზა ინიციატივის“ (BRI) ნაწილად მოიაზრება, ასევე დიდია ბიზნეს ტურიზმის განვითარების პოტენციალიც.

I ტურიზმის მთლიანი ნილი მოიცავს ტურიზმისა და მოგზაურობის პირდაპირ და ირიბ გავლენას მშპ-ზე; II წყარო: World Travel & Tourism Council (WTTC) – საქართველო, ყოველწლიური კვლევა (2021);
III 2019 წლის (პრე-პანდემიური) მონაცემები გამოიყენება საერთაშორისო ვიზიტორების პოსტ-პანდემიური ქცევის შესაფასებლად; IV საქართველოს ტრადიციული ტურისტული ბაზრები მოიცავს ოთხ უმსხვილეს ქვეყანას ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით: აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი და თურქეთი; V წყარო:http://www.newpress.ge/yazaxurma-dabalbujetianma-aviakompania-flyarystan-ma-saqartvelosh-pirveli-reisi-sheasrula; VI წყარო: Ipsos გამოკითხვა - ჩინეთის გამყვანი ტურიზმის ბაზრის კვლევა (2015);
VII წყარო: http://www.economy.ge/?page=news&nw=1329&s=natia-turniava-chinuri-turistuli-saagento-ctripis-warmomadgenlebs-shexvda;

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2021 აგვ/ 2021 ივლ	2021 აგვ/ 2019 აგვ	2021 აგვ/ 2021 ივლ	2021 აგვ/ 2019 აგვ	2021 აგვ/ 2021 ივლ	2021 აგვ/ 2019 აგვ
კახეთი	-0.1%	16.9%	3.4%	29.4%	-1.6%	13.5%
იმერეთი	-2.8%	13.4%	-4.8%	9.8%	-1.5%	16.2%
გურია	-4.1%	4.9%	-0.1%	-7.6%	-6.7%	11.9%
ქვემო ქართლი	-4.0%	12.4%	0.0%	12.4%	-11.4%	-
აჭარა	0.6%	-4.0%	-0.8%	-0.2%	3.7%	-9.9%
რაჭა	0.0%	-19.8%	0.0%	0.0%	0.0%	-19.8%
შიდა ქართლი	-1.4%	32.8%	0.0%	25.9%	-2.3%	35.2%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.4%	4.0%	-3.1%	-7.4%	5.9%	7.7%
სამცხე-ჯავახეთი	0.5%	-9.0%	2.9%	-28.3%	-1.8%	8.3%
მცხეთა-მთიანეთი	3.6%	16.4%	6.7%	1.0%	1.1%	26.3%
თბილისი	-2.2%	4.7%	-1.5%	8.2%	-6.1%	-10.6%
სულ ფასების % ცვლილება	-0.9%	3.2%	-0.5%	3.6%	-2.5%	-5.0%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2021 წლის აგვისტოში, 2021 წლის ივლისის ფასებთან შედარებით და 2019 წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2021 წლის აგვისტოში, 2021 წლის ივლისთან შედარებით, 0.9%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი შემცირდა 0.5%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2.5%-ით.

2021 წლის აგვისტოში, 2019 წლის აგვისტოსთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 3.2%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 3.6%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5%-ით შემცირდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2021 წლის აგვისტოში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **151 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **268 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ივლისში **95 ლარი** შეადგინა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აგვისტოში **514 ლარი** შეადგინა. გურიაში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 807 ლარი შეადგინა, თბილისში - 604 ლარი, აჭარაში - 570 ლარი, ხოლო კახეთში - 546 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	I 2020	II 2020	III 2020	IV 2020	2020	I 2021	II 2021
1	1054.1	1437.5	1800.0	2 223.0	427.2*	310.4*	335.8*	247.5*	1320.9*	187.9*	-
2	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1333.1	114.2	150.3	149.6	1749.3	134.7	351.3
3	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	765.3	82.3	113.6	125.9	1087.0	116.6	305.8
4	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	427.7	28.8	42.5	42.6	541.7	53.6	-
5	386.3	463.6	524.7	657.2	124.1	13.5	20.9	22.0	180.5	19.8	-
6	120.0	109.5	82.3	123.4	7.4	-6.0	1.5	-252.4	-249.5	-0.5*	-2.3*

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.